



**ქალაქ თბილისის  
მუნიციპალიტეტის საკრებულო**

**ბ ა ნ კ ა რ ბ უ ლ ე ბ ა № 318**

12 ივლისი  
“ --- ” ----- 2024 წ

**ქ. თბილისი**

ქალაქ თბილისში, ვარკეთილის დასახლება, მასივი III, კვარტალი IV, კორპუსი №6-ში  
(საკადასტრო კოდი: №01.19.20.023.007) მდებარე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის  
საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (საცხოვრებელი ბინები/კომერციული ფართები)  
პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების  
საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“  
მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 75-ე მუხლის  
„და“ ქვეპუნქტის 118<sup>1</sup> მუხლის პირველი და მესამე პუნქტების და „ქ. თბილისის  
მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით  
პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის  
საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს №21-85 დადგენილებით დამტკიცებული წესის  
პირველი მუხლის მე-3 პუნქტის, მე-2 მუხლის პირველი და მე-6 პუნქტების საფუძველზე,  
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, „ქალაქ  
თბილისში, ვარკეთილის დასახლება, მასივი III, კვარტალი IV, კორპუსი №6-ში  
(საკადასტრო კოდი: №01.19.20.023.007) მდებარე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის  
საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (საცხოვრებელი ბინები/კომერციული  
ფართები) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის  
მუნიციპალიტეტის მთავრობის 2024 წლის 9 ივლისის №24.1192.1323 განკარგულების  
დანართით გათვალისწინებული, ქალაქ თბილისში, ვარკეთილის დასახლება, მასივი III,  
კვარტალი IV, კორპუსი №6-ში (საკადასტრო კოდი: №01.19.20.023.007) არსებული უძრავი  
ქონებების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებაზე, ამავე განკარგულების  
დანართით წარმოდგენილი ხელშეკრულების პროექტის პირობების შესაბამისად.
2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო  
სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით  
აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის  
საკრებულოს თავმჯდომარე

გიორგი ტყემალაძე

ხელშეკრულება

უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ

ქ.თბილისი,

\_\_\_\_\_ 2024წ.

მუხლი 1. ხელშეკრულების მხარეები და ხელშეკრულების მიზანი

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 118<sup>1</sup> მუხლის პირველი და მესამე პუნქტების შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის [●] განკარგულების და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს [●] განკარგულების საფუძველზე, ჩვენ, ხელშეკრულების მხარეები: ერთი მხრივ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით - საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ქონების მართვის სააგენტო (შემდგომში „სააგენტო“), მის. ქ. თბილისი, შარტავას ქ. №7, წარმოდგენილი [●] მიერ პ/ნ: [●] და მეორე მხრივ, (შემდგომში - „ქონების შემძენი“ ----- ვდებთ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების ხელშეკრულებას (შემდგომში - „ხელშეკრულება“) ავარიული სახლის ჩანაცვლების მიზნის მისაღწევად (მდებარე: [●]))

შემდეგზე:

ვინაიდან,

- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ავარიული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ჩანაცვლების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 6 მაისის №10-48 დადგენილებით დამტკიცებულ იქნა წესი (შემდგომში - „ჩანაცვლების წესი“), რომლითაც განისაზღვრა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე ავარიული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ჩანაცვლების პირობები და პროცედურა.
- ჩანაცვლების წესის მე-2 მუხლის „თ“ პუნქტის მიხედვით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ავარიული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ჩანაცვლების პროექტის განმახორციელებელ პირად განისაზღვრა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „თბილისის განვითარების ფონდი“ (ს/ნ 404384974) (შემდგომში - „განვითარების ფონდი“).
- ჩანაცვლების წესის მიხედვით, „ვარკეთილის დასახლება, მასივი III, კვარტალი IV, კორპუსი №6-ში (საკადასტრო კოდი: №01.19.20.023.007) მდებარე უძრავი ქონების (შემდგომში - „მიწის ნაკვეთი“) ჩანაცვლების მიზნით, განვითარების ფონდის მიერ გამოცხადდა ტენდერი და გამოვლინდა გამარჯვებული პირი შპს „ბკ ქონსტრაქშენს“ (ს/ნ 404537809), რომელთანაც გაფორმდა 2024 წლის 21 მაისის №24-05-70 ხელშეკრულება „სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულება“ (შემდგომში - „შესყიდვის ხელშეკრულება“) საქართველოში მოქმედი კანონმდებლობისა და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.
- შესყიდვის ხელშეკრულებით განისაზღვრა, რომ მიწის ნაკვეთზე განხორციელდება არსებული 4 (ოთხი) სართულიანი ავარიული მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსის

დემონტაჟი და მის ნაცვლად აშენდება ახალი 10 (ათი) სართულიანი მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსი. საცხოვრებელი კორპუსის პირველ სართულზე მოეწობა კომერციული და საერთო სარგებლობის ფართები, არქიტექტორული პროექტის შესაბამისად.

- საცხოვრებელი კორპუსის I სართულზე მოეწყობა 451.00 კვ.მ (ოთხას ორმოცდათერთმეტი) კომერციული ფართი, ხოლო II-X სართულების ჩათვლით 79 (სამოცდაცხრამეტი) ერთეული საცხოვრებელი ბინა, ჯამური ფართით 4768.5 კვ.მ (ოთხი ათას შვიდას სამოცდარვა მთელი 5 მეათედი). 36 (ოცდათექვსმეტი) ერთეული საცხოვრებელი ბინა (ჯამური კვადრატულობით 2233.6 კვ.მ (ორი ათას ორას ოცდაცამეტი მთელი ექვსი მეათედი) გარემონტებული მდგომარეობით და 1 (ერთი) კომერციული ფართი 33.3 კვ.მ (ოცდაცამეტი მთელი სამი მეათედი) თეთრი კარკასის მდგომარეობით გადაეცემათ მესაკუთრეებს. 43 (ორმოცდასამი) ერთეული საცხოვრებელი ბინა (თეთრი კარკასის მდგომარეობით შეფასებული, ჯამური კვადრატულობით: 2534.9 კვ.მ (ორი ათას ხუთას ოცდაათოთხმეტი მთელი ცხრა მეათედი) და 4 (ოთხი) ერთეული, ჯამური კვადრატულობით: 417.7 კვ.მ (ოთხას ჩვიდმეტი მთელი შვიდი მეათედი) კომერციული ფართი (თეთრი კარკასის მდგომარეობით შეფასებული) რეგისტრირდება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებად და ანგარიშწორებისას გათვალისწინებული იქნება შემდგომი მიმწოდებლისთვის სამშენებლო, მათ შორის სარემონტო სამუშაოების ღირებულების ნატურით ანგარიშწორების მიზნით, ფართებისა და მათი ღირებულების შეთანხმებული პროპორციის შესაბამისად.

- ჩანაცვლების წესის მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, ავარიული სახლის ჩანაცვლების შედეგად წარმოშობილი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებად აღრიცხული უძრავი ქონების განკარგვას, პროექტის განმახორციელებლის წერილობითი მიმართვის შემდეგ, კანონმდებლობით განსაზღვრული წესის შესაბამისად, უზრუნველყოფს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ქონების მართვის სააგენტო (შემდგომში „სააგენტო“), მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

- ანგარიშწორება განხორციელდება ფულით ან ნატურით, როგორც უნაღდო ანგარიშწორების გზით, თანხის ჩარიცხვით მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილ საბანკო რეკვიზიტებზე, ისე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული 43 (ორმოცდასამი) ერთეული საცხოვრებელი ბინა (თეთრი კარკასის მდგომარეობით შეფასებული, დღგ-ს გარეშე) ჯამური კვადრატულობით: 2534.9 კვ.მ (ორი ათას ხუთას ოცდაათოთხმეტი მთელი ცხრა მეათედი) და 4 (ოთხი) ერთეული, ჯამური კვადრატულობით: 417.7 კვ.მ (ოთხას ჩვიდმეტი მთელი შვიდი მეათედი) კომერციული ფართი, თეთრი კარკასის მდგომარეობით შეფასებული, დღს-ს გარეშე რეგისტრირდება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებად და ანგარიშწორებისას გათვალისწინებული იქნება შემდგომი მომწოდებლისთვის სამშენებლო, მათ შორის სარემონტო სამუშაოების ღირებულების ნატურით ანგარიშწორების მიზნით, დღგ-ს გარეშე, ფართებისა და მათი ღირებულების შეთანხმებული პროპორციის შესაბამისად. უძრავი ქონების ნატურით გადაცემის შემთხვევაში, ამ ქონების ფასი 1 კვ.მ-ზე განისაზღვრება საბაზრო ღირებულებით, რომელიც შეფასებულია სსიპ - ლევან სამხარაულის სახელმწიფო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ: თითოეული ქონების ჯამური ფასი დაანგარიშდება 1 კვ.მ საბაზრო ღირებულების დღგ-ს გარეშე, ჯამურ კვადრატულობაზე გადამრავლებით ეროვნულ ვალუტაში. 1 კვ.მ მშენებარე კომერციული ფართის საბაზრო ღირებულება თეთრი კარკასის მდგომარეობით განისაზღვრება 2 116

(ორი ათას ას თექვსმეტი) ლარით, ხოლო 1 კვ.მ მშენებარე საცხოვრებელი ბინის (თეთრი კარკასის მდგომარეობა) საბაზრო ღირებულება განისაზღვროს 2 020 (ორი ათას ოცი) ლარით.

• საპრივატიზებო საფასურად განისაზღვრება 1 კვ.მ-ზე „ქალაქ თბილისში, ვარკეთილის დასახლება, მასივი III, კვარტალი IV, კორპუსი №6-ში (საკადასტრო კოდი: №01.19.20.023.007) მდებარე ავარიული სახლის ჩანაცვლებისას სახელმწიფო შესყიდვის გამოცხადების დროისათვის სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნის შესაბამისად დადგენილი საბაზრო ღირებულება და აღნიშნული ჩაითვლება გადახდილად მშენებლობის განმახორციელებელი პირის მიერ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სასარგებლოდ შესრულებული სამუშაოს ღირებულების შესაბამისი ოდენობით.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მხარეები დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

## მუხლი 2. ხელშეკრულების საგანი

2.1 ამ ხელშეკრულებით, სააგენტო საკუთრებაში გადასცემს ქონების შემძენს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ ამავე ხელშეკრულების დანართის სახით წარმოდგენილ უძრავ ქონებას, კერძოდ, „ქალაქ თბილისში, ვარკეთილის დასახლება, მასივი III, კვარტალი IV, კორპუსი №6-ში (საკადასტრო კოდი: №01.19.20.023.007) მდებარე მშენებარე ფართებს, კერძოდ, 43 ერთეულ ბინასა და 4 ერთეულ კომერციულ მშენებარე ფართს.

2.2 სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს [●] დასკვნის მიხედვით, 2.1 პუნქტში მითითებული უძრავი ქონების საბაზრო ღირებულება 1 კვ.მ-ზე შეადგენს .... ლარს., ხოლო ჯამური ღირებულება - [●] ლარს.

## მუხლი 3. საპრივატიზებო საფასური

3.1. ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული და ამავე ხელშეკრულების დანართის სახით წარმოდგენილი უძრავი ქონების საპრივატიზებო საფასურად განისაზღვრება ქალაქ თბილისში, ვარკეთილის დასახლება, მასივი III, კვარტალი IV, კორპუსი №6-ში (საკადასტრო კოდი: №01.19.20.023.007) ავარიული სახლის ჩანაცვლებისას სახელმწიფო შესყიდვის გამოცხადების დროისათვის სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნის შესაბამისად დადგენილი, ამ ხელშეკრულების 2.2. პუნქტით გათვალისწინებული ჯამური ღირებულება და აღნიშნული ითვლება გადახდილად მშენებლობის განმახორციელებელი პირის მიერ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სასარგებლოდ შესრულებული სამუშაოს ღირებულების შესაბამისი ოდენობით. ყოველგვარი ეჭვის გამოსარიცხად, ამ პუნქტით განსაზღვრული შესრულებული სამუშაოს ღირებულება განსაზღვრულია აა(ი)პ „თბილისის განვითარების ფონდსა“ და მშენებლობის განმახორციელებელ პირს შორის გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტით (ფორმა №2) და შეადგენს [●] ლარს.

3.2. ქონების შემძენი ვალდებულია გადაიხადოს ამ ხელშეკრულებით გადაცემული ქონების ღირებულებასა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სასარგებლოდ შესრულებული სამუშაოს ღირებულებას შორის სხვაობა (ასეთის არსებობის შემთხვევაში) 1 კვ.მ-ზე, ამ ხელშეკრულების 2.2 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - ლევან სამხარაულის

სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნით დადგენილი ოდენობით.

3.3. ქონების შემძენი ვალდებულია ამ მუხლის 3.2 პუნქტით განსაზღვრული საპრივატიზებო საფასურის გადახდა (ასეთის არსებობის შემთხვევაში) უზრუნველყოს ამ ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 7 სამუშაო დღის ვადაში შემდეგ საბანკო რეკვიზიტებზე თანხის ჩარიცხვის გზით:

-----

#### მუხლი 4. საკუთრების უფლების გადაცემა

ქონების შემძენს ხელშეკრულებით გადაცემულ უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლება გადაეცემა საკუთრების უფლების საჯარო რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან. ქონების შემძენის მიერ საკუთრების უფლების საჯარო რეესტრში რეგისტრაციის მიზნით, ამ ხელშეკრულების გარდა, სარეგისტრაციო სამსახურს უნდა წარედგინოს საკუთრების დამადასტურებელი მოწმობა.

#### მუხლი 5. მხარეთა განცხადებები და ვალდებულებები

5.1. სააგენტო აცხადებს, რომ ხელშეკრულების მეორე მუხლით გათვალისწინებული უძრავი ქონება ხელშეკრულების დადების მომენტისთვის წარმოადგენს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებას, უფლებრივად უნაკლოა, არ არის იპოთეკით დატვირთული და არ არის დაყადაღებული.

5.2. ხელშეკრულების მხარეები აცხადებენ, რომ ხელშეკრულების პირველი მუხლით გათვალისწინებული უძრავი ქონების ხარისხი შეთანხმებულია მათ შორის და არ არის სადავო.

5.3. სააგენტო ვალდებულია, დადგენილი მოთხოვნების გათვალისწინებით, კანონმდებლობით განსაზღვრულ ვადაში, გასცეს საკუთრების დამადასტურებელი მოწმობა ქონების შემძენისთვის გადაცემულ ქონებაზე, ამ ხელშეკრულების საფუძველზე, ხოლო 3.3. პუნქტით გათვალისწინებული საპრივატიზებო საფასურის გადახდის ვალდებულების არსებობის შემთხვევაში, აგრეთვე, ქონების შემძენის მიერ აღნიშნული საფასურის გადახდის დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტის სააგენტოსთვის წარდგენის შემდგომ.

5.4. ქონების შემძენი ვალდებულია უზრუნველყოს შეძენილ უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების რეგისტრაცია საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის გაცემისთანავე, გონივრულ ვადაში, მაგრამ არაუმეტეს 7 სამუშაო დღისა.

5.5. ქონების შემძენი ვალდებული არის საკუთრებაში გადაცემული ქონების შემდგომი გამოყენებისას დაიცვას კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები.

5.6. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან დარღვევის შემთხვევაში, ქონების შემძენი სააგენტოსგან იღებს წერილობით გაფრთხილებას, რომელშიც მიეთითება დარღვევის გამოსწორების ვადა და ეკისრება ხელშეკრულების მე-6 მუხლით განსაზღვრული პირგასამტეხლო.

5.7. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების სააგენტოს მიერ დაწესებულ დამატებით ვადაში შეუსრულებლობა და/ან დაწესებულ ვადაში პირგასამტეხლოს გადაუხდელობა, სააგენტოს მიერ განიხილება ხელშეკრულების ცალმხრივად მოშლის საფუძველად.

5.8. ხელშეკრულების ცალმხრივად მოშლის შემთხვევაში, ამ ხელშეკრულებით პრივატიზებული უძრავი ქონება ბრუნდება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის

საკუთრებაში. ამასთან, ქონების შემძენს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ არ აუნაზღაურდებათ გადახდილი თანხები და გაწეული ხარჯები.

**მუხლი 6. პირგასამტეხლო**

6.1. ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობის ან შესრულების ვადის დარღვევის შემთხვევაში, ქონების შემძენს ეკისრება პირგასამტეხლო. საპრივატიზებო უძრავი ქონების საფასურის 0,1%-ის ოდენობით დარღვევის დღიდან ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, მაგრამ არანაკლებ 5 (ხუთი) ლარისა. პირგასამტეხლოს დარიცხვა გაგრძელდება საპრივატიზებო საფასურის გადასახდელი ნაწილის სრულად გადახდამდე (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ან სააგენტოს მიერ ხელშეკრულების 5.7 პუნქტის შესაბამისად ხელშეკრულების ცალმხრივად მოშლამდე, იმის მიხედვით რომელი გარემოებაც დადგება უფრო ადრე.

6.2. პირგასამტეხლოს გადახდა უნდა განხორციელდეს თანხის შემდეგ ანგარიშზე ჩარიცხვით:

მიმღები სახელმწიფო ხაზინა: TRESGE22

სახაზინო კოდი: 300773287

(შემოსავალი ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო დაკისრებული პირგასამტეხლოდან).

**მუხლი 7. მხარეთა შორის ურთიერთობის სამართლებრივი რეგულირება**

7.1. მხარეთა შორის სამართლებრივი ურთიერთობები რეგულირდება ამ ხელშეკრულებითა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

7.2. მხარეთა შორის დავის არსებობის შემთხვევაში, მხარეებს უფლება აქვთ მიმართონ საქართველოს საერთო სასამართლოს.

**მუხლი 8. სხვა პირობები**

8.1. ხელშეკრულების ყველა გვერდი ხელმოწერილი უნდა იყოს მხარეთა მიერ.

8.2. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის მომენტიდან.

8.3. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილება ან/და დამატება შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ მხარეთა წერილობითი შეთანხმებით.

8.4. ხელშეკრულება შედგენილია 3 (სამი) თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად, ქართულ ენაზე. ერთი ეგზემპლარი წარედგინება საჯარო სამართლის იურიდიულ პირს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს, დანარჩენი გადაეცემა მხარეებს.

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ქონების მართვის სააგენტო

ირაკლი თავართქილაძე

-----

[•]

-----

ქალაქ თბილისში, ვარკეთილის დასახლება, მასივი III, კვარტალი IV, კორპუსი №6-ში (საკადასტრო კოდი: №01.19.20.023.007) მდებარე მშენებარე ფართები				
№	საკადასტრო კოდი:	ბინის №	საერთო ფართი (კვ.მ)	ღირებულება დღგ-ს გარეშე
1	01.19.20.023.007.01.02.001	კომერციული ფართი №1	86.1	154396.27
2	01.19.20.023.007.01.02.002	კომერციული ფართი №2	102.7	184163.73
3	01.19.20.023.007.01.02.003	კომერციული ფართი №3	161.8	290143.05
4	01.19.20.023.007.01.02.004	კომერციული ფართი №4	67.1	120325.08
5	01.19.20.023.007.01.01.001	1	38.1	65222.03
6	01.19.20.023.007.01.01.002	2	90.4	154752.54
7	01.19.20.023.007.01.01.004	4	36.5	62483.05
8	01.19.20.023.007.01.01.005	5	53.9	92269.49
9	01.19.20.023.007.01.01.008	8	70.6	120857.63
10	01.19.20.023.007.01.01.012	12	74.2	127020.34
11	01.19.20.023.007.01.01.013	13	36.6	62654.24
12	01.19.20.023.007.06.014	14	54.6	93467.80
13	01.19.20.023.007.01.01.016	16	75.8	129759.32
14	01.19.20.023.007.01.01.017	17	64.9	111100.00
15	01.19.20.023.007.01.01.018	18	60.4	103396.61
16	01.19.20.023.007.01.01.035	35	34.7	59401.69
17	01.19.20.023.007.01.01.037	37	56.6	96891.53
18	01.19.20.023.007.01.01.039	39	34.4	58888.14
19	01.19.20.023.007.01.01.042	42	34.8	59572.88
20	01.19.20.023.007.01.01.044	44	34.2	58545.76
21	01.19.20.023.007.00.046	46	56	95864.41
22	01.19.20.023.007.01.01.050	50	74	126677.97
23	01.19.20.023.007.01.01.052	52	65.3	111784.75
24	01.19.20.023.007.01.01.053	53	38.3	65564.41
25	01.19.20.023.007.01.01.055	55	74.3	127191.53
26	01.19.20.023.007.01.01.057	57	52.1	89188.14
27	01.19.20.023.007.01.01.059	59	39	66762.71
28	01.19.20.023.007.01.01.060	60	81.3	139174.58
29	01.19.20.023.007.01.01.061	61	39.9	68303.39
30	01.19.20.023.007.01.01.062	62	67.8	116064.41
31	01.19.20.023.007.01.01.063	63	78.6	134552.54
32	01.19.20.023.007.01.01.064	64	85.2	145850.85
33	01.19.20.023.007.01.01.065	65	40.6	69501.69

				პროცენტი
34	01.19.20.023.007.01.01.066	66	65.4	111955.93
35	01.19.20.023.007.01.01.067	67	84.7	144994.92
36	01.19.20.023.007.01.01.068	68	39	66762.71
37	01.19.20.023.007.01.01.069	69	80.3	137462.71
38	01.19.20.023.007.01.01.070	70	40.4	69159.32
39	01.19.20.023.007.06.071	71	67.8	116064.41
40	01.19.20.023.007.01.01.072	72	78.6	134552.54
41	01.19.20.023.007.01.01.073	73	85.2	145850.85
42	01.19.20.023.007.01.01.074	74	40.6	69501.69
43	01.19.20.023.007.01.01.075	75	65.4	111955.93
44	01.19.20.023.007.01.01.076	76	84.7	144994.92
45	01.19.20.023.007.01.01.077	77	39	66762.71
46	01.19.20.023.007.01.01.078	78	80.3	137462.71
47	01.19.20.023.007.01.01.079	79	40.4	69159.32